კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

წელიწადი მეოთხე

წელიწადი მეოთხე

ოქტომბერი. № 19 ⁄ 20.

შინაარსი:

	მოხსენება ქ. ს. საზოგადოების ინსტრუქტორის გ. ნახუცრიშვილისა	3
დ. გორთამაშვილი...	მეურნეობა ფშავ-ხევსურეთში	10
რ. გედევანიშვილი...	სუკეთესო მეწველი ძროხის ნიშნები და პირობები ძროხის გაუმჯობესებისათვის	12
ნ. ჭეიშვილი.....	ტოტხადი ღობეების გაკეთება	15
ი. ქურდიანი.....	მეურნეთა საეურადღებოდ	16
ა. კახელაძე.....	სანიმუშო წესდება	18

ჟურნალი წელიწადში ღირს—3 მანეთი. | მისამართი: Тифлисъ, Барятинская 5.

ტფილისი, 1912 წ.

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ **კვირაში ერთხელ**)

წარსულ წელს ჟურნალში იღებდნენ მონაწილეობას:—ახოშვილი ვ., ანაზღეული ბ., ახალაია ი., გულბაათიშვილი ვ., გაღმოხვეწილი ბ., გვარამაძე ილ., გორთამაშვილი ღ., გამხარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭელიშვილი ვ., მელია ჰ., მღივანი ღ., მაჩაბელი ა., მაჩაბელი ი., ნახუცრიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილაძე ვ., ქუთათელაძე ი., უავრიშვილი ნ., ჩივაძე ე., ჩხეიძე უ., ცხადაძე გრ., ღ—ძე ღ., მღ. ჯალიაშვილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., შ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონ (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.** განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.

მოხსენება

ქართულ სამეურ. საზოგადოების ინსტრუქტორის გიორგი ნახუსრიშვილისა

როგორც მოგეხსენებათ ქართლს საკმაოთ ვრცელი ადგილი უჭირავს. მისი სამზღვრებია: აღმოსავლეთით მდინარე მტკვარი და არაგვი, დასავლეთით სურამის ანუ ლიხის მთა, სამხრეთით სომხეთი და ოსმალეთი, ჩრდილოეთით კავკასიონის მთები.

ქართლი იყოფა ორ დიდ ნაწილად: ჯავახეთისა და ახალციხის მხარეს ეწოდება ზემო ქართლი, ჩრდილოეთის მხრივ, ესე იგი თრიალეთისა და კავკასიონის მთებ შუა იმყოფება ნამდვილი ქართლი. მთელი ქართლი შესდგება ოთხი დიდი მაზრისაგან: დუშეთის, გორის, ახალქალაქის და ახალციხის. ჩრდილოეთ ანუ ნამდვილი ქართლი მდინარე მტკვრით შეიძლება კიდევ ორად გაიყოს — მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირები. მტკვრის მარცხენა მხარე გაცილებით განიერი და მთაგორიანი ადგილია; იგი მეტად მდიდარია წყლებით. აქ შეხვდებით ქართლის უმთავრეს მდინარეებს: არაგვს, ქსანს, დიდ ლიახვს და აგრეთვე სხვა მრავალ პატარა წყლებსაც. ამ წყლების წყალობით ეს მხარე დასერილია მრავალი კოხტა ხეობებით. მტკვრის მარცხენა ნაპირი საზოგადოდ უფრო ნოყიერი და მოსავლიანი ადგილია. მდინარე მტკვარიდან დაწყებული იგი თანდათან მაღლდება და ამისათვის მისი შუა წელიდან ჰავაც საგრძნობლად იცვლება, ესე იგი გრილდება. მიზეზიც ეს გახლავთ რომ მეხილეობასაც სწორედ აქეთ მოუკიდნია ფეხი. თუმცა კავკასიონის თოვლიანი მთები მას ზედ გადმოჰყურებენ, მაგრამ მათი სუსხიანი სიცივე მტკვრის მარჯვენა მხარეს უფრო აფუჭებს, ვიდრე მარცხენას. ამას ცხადად მოწმობენ შემდეგი ფაქტები: მაგ. სოფ. ხიდისთავი, რომელიც მტკვრის მარჯვნივ იმყოფება, სიცივის გამო აქაური ვენახების მეტი წილი მიწაში იმარხება. მტკვრის მარცხნივ კი სოფელ კარალეთში (გორიდან 8 ვერსია) აქაური ვენახების მეტი წილი ზამთრობით სარზე რჩება. უფრო ზევით სოფ. თამარაშენში (გორიდან 35 ვერსი იქნება) ვაზი ჩინებულად უძლებს ზამთრის სიცივეს. ასევე შეიძლება ითქვას ხეხილზედაც, მაგალითად წლევანდელმა გაზაფხულის სიცივემ, ბარათ უფრო აზარალა ხეხილი, ვინემ მთის კალთებზედ.

მე ვლაპარაკობ საზოგადოდ მტკვრის მარცხენა მხარეზე, მაგრამ მეხილეობის მხრივ პირველი ადგილი განსაკუთრებით ლიახვის მარცხენა ნაპირს უნდა დაეთმოს, ვინაიდან ეს ადგილი, როგორც ნიადაგით, ისე თავისი გრილი ჰავით მეხილეობისათვის უფრო შესაფერისია.

მეორე ადგილს დაიჭერს ლიახვის მარჯვენა მხარე, მესამეს ფრონის ხეობა და მეოთხეს ჭალისა და ქსნის ხეობები. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, როგორც ფიცხი და უწყლო ადგილი, მეხილეობას ხელს ნაკლებ უწყობს. აქეთ

ხვნა-თესვას უფრო მისდევენ, თუმცა ადგილის სიცოტავე და უწყლოობა ამ დარგის განვითარებასაც ხელს უშლის. ამის გამო მეტი წილი აქაური გლეხკაცობისა გარედ გადის სამუშაოდ.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართლი შედარებით ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებთან ზაფხულობით გრილი და ზამთრობით ცივი ადგილია. ქართლის მეხილეობისათვის საშიში დრო უფრო გაზაფხულია, ამ დროს ხშირად იცის აქ თრთვილი, რომელიც ბარად ადრე გამოსულ ხეხილს მეტად აზარალებს, ვიდრე მთა ალაგებში. ქართლში ხშირად უბერავს დასავლეთის ქარი, იგი ღონივრად ხვდება მტკვრის ხეობას და ქართლის შუა წელს. იცის აგრედვე აღმოსავლეთის თბილი ქარიც, რომელიც გოლვიან წლებში ჭირნახულს უფრო აზარალებს ხოლმე.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ სარწყავი წყლებით ქართლი საკმაოდ მდიდარი მხარეა. ყველა ამათ, გარდა მტკვრისა, კავკასიონის მთებში აქვთ სათავე. ხსენებული მდინარეების ერთი კარგი თვისება იმაში გამოიხატება, რომ კალაპოტი არა აქვთ ღრმა და ამისათვის ხალხიც იმათით უხვად სარგებლობს.

გარდა მტკვრის მარჯვენა ნაპირისა, ურწყავი ადგილები ლიახვის მარჯვნივაც ბლომად მოიპოება. ამ მხარეს მხოლოდ თამარდედოფლის დროს ჰქონია სარწყავი წყალი და იმ დროის არხი დღესაც კარგად ემჩნევა. მისი განახლება ახლაც ადვილია, მხოლოდ საჭიროა საქმის რიგიანი მოთავე.

ქართლს თუმცა რკინის გზაცა აქვს, მაგრამ სამწუხაროთ მას ნაკლებ ასარგებლებს, რადგან მის შუა გულს, სადაც მეურნეობა უფრო განვითარებულია, საკმაო მანძილზე შორდება. ამ შემთხვევაში ვერ დავემდურებით საურმე გზებს: მარტო ლიახვის ხეობას სამი კარგი გზატკეცილი აქვს. ეს სამივე გზა იწყება რკინის გზიდან და თავს იყრის დაბა ცხინვალში. აქედან ერთი მათგანი მიდის ქუთაისის გუბერნიისაკენ და ერთიც როკის უღელტეხილით გადადის თერგის ოლქში. ჭალისა და ქსნის ხეობების გზებსაც არა უჭირთ-რა. მტკვრის მარჯვნივაც არის ერთი გზა, ბორჯომის გზატკეცილი.

რაც შეეხება ქართლის ზეადაგს, ამის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან მისი მეცნიერულად გამოკვლევა დღემდის თავს არავის უდვია. დაახლოებით კი შემდეგი შეიძლება ითქვას: მტკვრის მარცხნივ მეტი წილი ლამ-ნარევი-თიხა და კირნარევი მიწებია, მარჯვნივ კი თიხა და ქვიანი ადგილები სჭარბობს.

პირველი სოფელი, რომელზედაც მე გავიარე, კარალეთი გახლდათ. სხვათაშორის ვინახულე თავადი მიხეილ რევაზის-ძე ერისთავის ხილის ბაღი და ვენახი. პირველს 16 დღიურზე მეტი ადგილი უჭირავს, მთელი ადგილი ხეხილით არის სავსე. ეტყობა, პატრონს პირველიდან ჩინებულად დაუწყვია საქმე, მაგრამ სამწუხაროდ გულიც მალე ასცრუებია. აშკარად ემჩნევა 6-7 წლის მოუვლელობა. მთელი ბაღის $^2/_3$ სათიბათ არის გადაქცეული. მიწის გაფხვიერება და ხეხილის გასხვლა-წამლობა პატრონს ფიქრადაც არ მოსვლია. მოუვლელობის წყალობით 8—9 წლის ხეები დაგოლილან და 2 წლისაებს გვანან. ბევრია აგრედვე თაგვისაგან გაფუჭებული ძირებიც. ამ უზარმაზარ ადგილზე ცოტაოდენი სიცოცხლე ბა-

ლის მხოლოდ 1/3 ეტყობა, მაგრამ ესეც იმის წყალობით, რომ ამ ნაჭერზე პატრონი მებოსტნეობას მისდევს.

მოუვლელობისა გამო ხეხილზე გავრცელებულია მრავალგვარი ავადმყოფობა:—თეთრი ბურტყლიანი ტილი,—ნაცარი (განსაკუთრებით თეთრკალვილზე), ბლუნძელა ჭია (яблон. моль), ცხვირა და ფოთლის მხვეველი ბუზი. დავათვალიერე აგრედვე გლეხების ბაღებიც. აქაც იგივე მოუვლელობა და ათასგვარი ავადმყოფობა ვნახე. ზედმეტ ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ხეხილის ხშირად დარგვა და ხილის მრავალჯიშიანობა.

კარალეთში გავრცელებულია შემდეგი ვაშლის ჯიშები: თეთრი კალვილი, ბელფლერი, მოკლე ყუნწა, ანტონოვკა ანუ კანადის რენეტი, სარი სინაპი, ზამთრის წითელი კალვილი და კიტრა. შამპანის რენეტი კარალეთში ნაკლებ არის გავრცელებული. ცოტაა აგრედვე მსხლის ჯიშებიც. გაზაფხულის სიცივისაგან დაზარალებულა უფრო ადრე მოყვავილე ხეხილი როგორც მაგალითად თეთრი კალვილი, ბელფლერი, კანადის რენეტი, მოკლე-ყუნწა და თითქმის ყველა ჯიშის მსხლები; ნაკლებათ—ზამთრის წითელი კალვილი, სარი სინაარი, შამპანიის რენეტი და კიტრა. კარალეთის მებაღეობა გაცილებით მაღლა დგას აქაურ მევენახეობაზე. როგორც ეტყობა ეს უკანასკნელი ადგილს უთმობს მეხილეობას.

სოფელი ძევერა და მარანას ბაღები კარალეთთან შედარებით უკეთეს სანახაობას წარმოადგენენ. ეს გარემოება ჩემის აზრით აქაურ საქმის მცოდნე შემამულეთ ბ-ნ ზედგინიძეებს და ჯაჯახიშვილებს უნდა მიეწეროს. სჩანს ხეხილის გასხვლა-წამლობა აქ უფრო ფეხს იკიდებს. ხეხილის ავადმყოფობაც გაცილებით ნაკლებია. ზარალი სიცივისაგან იგივეა, რაც სოფ. კარალეთში.

ლიახვის მარცხენა მხარეზე ყველაზე მეტი ხილის ბაღები სოფ. ტყვიავსა აქვს. ხეხილის ბაღების დამუშავება ამ სოფელში უკეთესად სწარმოებს, აქაც ადგილობრივ მცოდნე პირთა ზედგავლენა უნდა იყოს, სახელდობრ ბ-ნი კეცხოველის, ფავლენიშვილის, ივანოვის და სხვ. მხოლოდ ერთს ვერ შესჩვევიან ტყვიაველები, სახელდობრ ხეხილის წამლობას, რისგამოც აქაური ბაღები უფრო მეტად დაავადებულა, ვინემ სხვა ალაგებში.

გვარიან ბაღებს შეხვდებით აგრედვე სოფ. კარბაში, არბოში, ქორთაში, ტირძნისში, მერეთში და ქსუისში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სოფლების მებაღეობას ცხადად ემჩნევა ბ-ნ ისაია ფურცელაძის მეზობლობა. მისი საუცხოოთ მოვლილი ხილის ბაღი, ქართლისათვსს ნამდვილ სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს.

სოფ. ერგნეთი მდებარეობს ცხინვალის ახლო, მდ. ლიახვის პირზე. ეს სოფელი ნაქებია თავის კარგი ღვინით. თუმცა ერგნეთში ხეხილიც მშვენივრად გვარობს, მაგრამ გლეხობა ისევ მევენახობასა რჩეობს. ამავე სოფელში ვინახულე ქ-ნ ეფემია მაჩაბლის ხილის ბაღი. სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ მთელს ჩემ მოგზაურობაში ასეთი მოუვლელი ბაღი არსად 'მემხვედრია. ბაღი შეიცავს თითქმის 16 დესეტინა მიწას, მთელი ეს ადგილი სავსეა სხვადასხვა გვარი ხილით, მაგრამ ალაგ-ალაგ ისე ხშირად არის დარგული, რომ

შორიდან ნამდვილ საფიჩხე ტყეს წარმოადგენს. ეტყობა ამ ძვირფას მამულს მოვლა არასოდეს არ ღირსებია.

დაბა ცხინვალში უმთავრესად მევენახეობას მისდევენ, არის რამოდენიმე კარგად მოვლილი ხილის ბაღებიც. ხეხილის წამლობა ცხინვალელებს უფრო ემარჯვებათ. ამის გამო აქაური ხეხილიც საღათ გამოიყურება.

ლიახვის მარჯვენა მხარე

ცხინვალს ზემოთ 15—16 ვერსის მანძილზე გაშენებულია შემდეგი სოფლები: აჩაბეთი, თამარაშენი, ქურთა და კეხვი. ეს პატარა ადგილი თავის მდებარეობით და ჰავით საუკეთესო კუთხეა მთელ ლიახვის ხეობაზე. რადგან მეტი წილი აქაური მამულისა საბატონოა, ამისათვის გლეხებიც მეხილეობას ცოტა არ იყოს უგულოდ ეკიდებიან. ვისაც კი წელი მაგარი ჰქონია და მამული დაუხსნია, იმას საუცხოვო ბაღიც გაუშენებია. სხვათა შორის შევხვდი გლეხის ისეთ ბაღებსაც, სადაც პატრონს მხოლოდ თითო ჯიში ხილი აქვს დარგული, მაგ. თეთრი კალვილი ან კანადის რენეტი. ეს ჩემის აზრით ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქეთ მხარეზედაც ორი შრომის მოყვარე და საქმის მცოდნე პირი იჭცევს მოგზაურის ყურადღებას—სოფ. თამარაშენში თ-დი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი და სოფ. ქურთაში ალექსანრე მაჩაბელი. პირველს საუკეთესოდ შემუშავებულ ბაღის გარდა აქვს აგრედვე ნამყენით გაშენებული ვენახიც, რომლის 7 წლის ღვინო თავისი ღირსებით ქართლის მეღვინეობაში საუკეთესო ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს.

ალექსანდრე მაჩაბლის მეურნეობასაც ცხადად ეტყობა ცოდნა და მზრუნველობა პატრონისა. აქვს სამაგალითო ხილის ბაღი, რომლის ერთ-ნახევარზე გაშენებულია საუკეთესო ვაშლის ჯიშები, მეორეზე—მსხლისა. როგორც ბ-ნმა მაჩაბელმა გადმომცა, სოფ. ქურთა სხვათაშორის იძლევა საუკეთესო თვისების მსხალსაც. მეხილეობას გარდა თ-დი მაჩაბელი მისდევს მებოსტნეობას და თესლეულობით ვაჭრობას. ბოსტნეულობიდან უმთავრესად მოჰყავთ კომბოსტო და ნესვი. მეტადრე კომბოსტო ამ მხარეზე მეტად ხელმისაცემი მცენარეა. ერთი დესეტინა კომბოსტოს პლანტაცია დაახლოებით 500 მანეთს შემოსავალს იძლევა. ხარჯი კი ასეთია:

ერთი დესეტინის მოხვნა		10 მან.
ჩითილი (ნერგი)	—	7 „
გადარგვა —	—	6 „
ორჯელ გათოხნა	—	22 „
მორწყვა —	—	5 „
ს უ ლ	—	50 მან.

ერთი დესეტინა კარგად მოვლილი მიწა იძლევა 2500—2700 ფუთ კომბოსტოს. საშუალო ფასი ფუთზე 25 კ. ამავე ხეობაზე ლიახვის გაღმა გაშენებულია სოფლები: ხეითი, ქემერტი და ხვერი. უწყლოობისა გამო ამ სოფლებში მარტო ხვნა-თესვას მისდევენ.

სოფ. ზემო ნიქოზში გახლავთ ბ-ნ ხეთაგურის სანერგე და ეგრედწოდებული პომოლოგიური ბაღი. წინაწლებთან შედარებით სანერგეს გაფართოება ეტყობა. რაც შეეხება ხილის ბაღს იგი მოუვლელობისა გამო ძალიან დაავადებულია, მეტადრე თეთრი კალვილი.

დანარჩენ სოფლებში, სახელდობრ: ქვემონიქოზში, ხვითში, ფხვენისში,

შინდისში, ყელქცეულში, ვარიანში, საქაშეთში, არაშენდაში, ახალდაბაში, თედოწმინდაში, ოთარშენში და ტინისხიდში გლეხობა უმთავრესად მისდევს ხვნა-თესვას და კომბოსტოს მოყვანას. თუმცა მეხილეობა აქეთ სულ ახალი საქმეა, მაგრამ იმედია ამ დარგში მარჯვენა მხარეც ტყვიავის რაიონს მალე წამოეწევა. აქეთი მხრის ხეხილი შეხედულობით ბევრად ჯანმრთელია, ვიდრე ტყვიავისა. მე ვფიქრობ ამის მიზეზი ერთის მხრით აქაური ბაღების სიცოტავე და მეორეს მხრით ტყვიავის რაიონის სიშორე უნდა იყოს.

ლიახვის მარჯვნივაც მოიპოებიან საქმის მცოდნე მეურნენი, რომელთა ნაყოფიერ მუშაობის კვალი კარგად ეჩნევა ზოგიერთა სოფლების მეურნეობას. ესენი არიან ძმანი მიტო და მიშო დიასამიძენი, ილიკო მაჭავარიანი და დათიკო ციცქიშვილი. მაგალითად თ-დ მიტო დიასამიძეს სხვათა შორის აქვს სამაგილითოდ მოწყობილი საფუტკრეც. გარდა იმისა, რომ გლეხები ადგილობრივ სწავლობენ მეფუტკრეობის შესახებ წესიერ მუშაობას, თითონ ბ-ნი დიასამიძეც ხშირად დაიარება სოფელ-სოფელ და ავრცელებს ამ საგნის შესახებ საჭირო ცოდნა-დარიგებას.

ფრონის ხეობაზე ვინახულე სოფელი ბრეთი, საღოლაშენი, არადეთი, წვერა, დირბი და ძვილეთი. ეს ხეობა თუმცა პატარაა, მაგრამ სამაგიეროდ საუცხოვო ადგილმდებარეობა აქვს. თვით სახელწოდება ხეობისა „პატარა კახეთი“ ცხადათ მოწმობს, რომ ოდესმე აქ მევენახეობა ყოფილა აყვავებული. მაგრამ სამწუხაროდ დღეს იმის ნასახიც აღარსად მოსჩანს, იგი მთლად ფილოქსერას უმსხვერპლნია. თუმცა მეხილეობისათვის აქ საუცხოვო პირობებია, მაგრამ ეტყობა ხალხი ისევ მევენახეობასა რჩეობს, არის რამოდენიმე ნამყენით გაშენებული ვენახი და როგორც გადმომცეს ნამყენი შეუძენიათ სოფ. აჯამეთში ონანოვის სანერგეგდან. მოიპოება. რამდენიმე წესიერად შემუშავებული ხილის ბაღებიც, მაგ. სოფ. საღოლაშენში ბ-ნ ალექსანდრე თევდორესძე ყიფშიძის ახალად გაშენებული ბაღი, რომელიც შემდეგში, იმედია, მთელი ამ ხეობისათვის სამაგალითო შეიქნება; სოფ. წვერში ბ-ნი კალატოზიშვილების და შუბიტიძისა; აგრედვე სოფ. ბრეთში მღვ. ედილაშვილისა. ამ ხეობაში სხვათაშორის მშვენივრად გვარობს კომბოსტო. ერთი დესეტინა იძლევა 2700 ფუთამდე.

რუისი კარგად მოზრდილი სოფელია. მცხოვრებლები უმთავრესად ხვნა-თესვას და მევენახეობას მისდევენ. მეხილეობა აქ ისევ მამაპაპურის წესით სწარმოებს, ესე იგი მეტი წილი ხეხილისა ვაზებშია არეული. ცალკე გაშენებული ხილის ბაღები აქვს სულ სამოდე კომლს, სხვათა შორის ბ-ნ გულისაშვილს, რომელიც მეხილეობის გარდა მისდევს ხვნა-თესვას და საკვებავი ბალახების მოყვანას. აქვს აგრედვე ნამყენი ვაზით გაშენებული ვენახიც. ეს უკანასკნელი, როგორც პატრონმა გადმომცა, ნაყოფს ძალიან ნაკლებს იძლევა. ამის მიზეზი ალბად საძირე ვაზის და ნიადაგის ერთმანეთთან შეუფერებლობა უნდა იყოს.

ამავე სოფელში ღირს შესანიშვნავია ქ-ნ დეკანოზიშვილის მიერ სამაგალითოდ მოწყობილი აბრეშუმის ჭიის

სათესლე. ეს შრომის მოყვარე ადამიანი ყოველ წლობით 200—300 მან. ჭიის თესლსა ჰყიდის.

მტკვრის მარჯვნივ ვინახულე შემდეგი სოფლები: გომი, ქარელი, სკრა, ხიდისთავი, დოესი, ხოვლე, ზემოხანდაკი, ახალქალაქი, ქვემოგომი, მეტეხი, ქვემოხანდაკი ‌ & ‌ ძეგვი. აქეთ მხარეს ყურადღებას იქცევს ორი მოზრდილი ხეხილის სანერგე ძმათა ფრიდონოვებისა და ავსარქისოვისა. არის მესამე სანერგეც ბ-ნ ხეთაგურისა, სოფ. კასპთან. თუ სხვა პატარა სანერგეებსაც შივიღებთ მხედველობაში და ერთმანეთს შევადარებთ, მაშინ პირველი ადგილი, როგორც მოწყობილობით ისე საქონლის კარგი ლირსებით, ძმათა ფრიდონოვების სანერგეს უნდა დაეთმოს. ამას მოწმობენ თვით ქართლის გლეხობაც, რომელთაგანაც ხსენებულ სანერგეზე ქება-დიდების მეტი არა გამიგონია-რა. ალი ლონიერი ხეხილი და ამასთან წლევანდელი ჩინებული მსხმოიარობა, აშკარად მოწმობს მის იდეალურად დამუშავებას. საზოგადოდ მტკვრის მარჯვენა მხარე, გარდა ორიოდე სოფლებისა, მეხილეობას ნაკლებ უწყობს ხელს.

თუმცა დიდი სურვილი მქონდა ქართლის სხვა სოფლებიც დამევლო, მაგრამ რადგან ხეხილი ძალიან დაავადებული ვნახე, ვარჩიე საჩვენებელი წამლობა წლეულობითვე მომეწყო. აი სწორედ ამ გარემოებამ შაიძულა მოგზაურობა შემეწყვიტა და შევდგომოდი ზემოხსენებულ მუშაობის მოწყობას. ამისათვის ავარჩიე 11 სოფელი, აქედან 8 სოფ. ლიახვის მარცხნივ და 3-იც მის მარცხენა მხარეს. მუშაობა სწარმოებდა შიო გედევანიშვილის ხელმძღვანელობით; წამლობა ორჯელ იქმნა განმეორებული. აპარატი და წამლბეი საზოგადოების ხარჯით იქმნა შეძენილი. თუმცა ეს პირველი წამლობა იყო და ამასთან ავდრებიც ხელს გვიშლიდა, მაინც ნაწამლ ხეხილს შესაჩნევი სიკეთე ეტყობოდა.

როგორც ჩემი მოხსენებიდან დაინახეთ, ქართლის მეხილეობას მრავალი ნაკლულევანება აქვს, სახელდობრ: ხეხილის ხშირად და ღრმად დარგვა, გაუსხლაობა, უწამლობა, ჯიშების მრავალგვარობა და ბაზრისათვის ხილის შეუფერებლობა. მეტადრე ეს უკანასკნელი გარემოება ძალიან აპრკოლებს ხილის გარედ ბაზარში გატანას. ამით სარგებლობენ ჩვენი ტფილისელი ვაჭრებიც და გლეხის ნაწარმოებს სულ ჩალის ფასად იგდებენ ხელში. სულ სხვა იქმნებოდა, რომ ქართლის ბაღებში ერთგვარი შესაფერი ხილი ყოფილიყო გაშენებული. მაშინ ეს გარემოება უსათუოდ მიიზიდავდა გარეშე ქვეყნის ვაჭრებსაც და ამ შემთხვევაში გლეხის ნაწარმოებიც ერთიორად აიწევდა ფასში.

ვინ არის ამაში დამნაშავე? ჯერ, რასაკვირველია, მამულის პატრონი თავისი უვიცობით და დაუდევრობით და შემდეგ, ზედმეტად, კერძო სანერგეები. კერძო სანერგეების პატრონებს აინტერესებთ მხოლოდ საქონლის გასაღება და ჯიბის გასქელება. ოღონდ კი გლეხს ხეხილი მიაჩეჩონ ხელში, და ბევრს არას დაგიდევენ, კარგი ჯიშისა იქმნება, თუ არა. გლეხმაც რა ქმნას, უქებენ და იმასაც სჯერა, მიაქვს და რგავს თავის ერთ ბოხჩა ადგილზე. გადის 5—6 წელიწადი და სანერგედან ნასყიდი ნამყენი თეთრი კალვი-

ლის მაგივრად ისხავს საზაფხულო ვაშლს. ამის მნახავი ბევრსაცა ნანობს, მაგრამ ლატაკი გლეხისათვის ძნელი-ღაა ასეთი შეცდომის გასწორება. ამგვარ მოვლენას ქართლში ძალიან ხშირად შეხვდებით.

ასეთსავე დღეშია დღევანდელი ქართლის მევენახეობაც. გაჩნდა თუ არა ქართლში ფილოქსერა, მასთან ერთად გაჩნდნენ ჯიბის ფილოქსერებიც, ესე იგი გამდიდრების მოტრფიალენი. გაიმართა კერძო სანერგეები, რომლებმაც სარგებლობის მაგივრად ქართლს მხოლოდ ზარალი მოუტანეს. განა ასეთი კერძო სანერგეების პატრონები არ არიან იმის მიზეზნი, რომ ჩვენი გლეხი ნამყენ ვაზს დღესაც უნდოს თვალით უყურებს და ისევე მამაპაპურის წესით რჩეობს ვენახის გაშენებას? მგონი თქვენც ხშირად გსმენიათ, რომ ამა და ამ ალაგას ნამყენი ვაზი არ დამწიფდა, ყურძენი არ მოისხა ან გახმაო. ყველა ასეთი მოვლენა კერძო სანერგეების მოქმედების შედეგია.

არის მეორე გარემოებაც, რომელიც აფერხებს სოფლად მეურნეობის განვითარებას. ეს გახლავთ ჩვენი გლეხის უილაჯობა—სიღატაკე. გლეხის სიღარიბით სარგებლობს თანამედროვე ჩარჩი. გლეხის ნაწარმოები რომ მომხმარებელთან მივიდეს, ჯერ უნდა ჩარჩის ხელში გამოიაროს. ხშირად გლეხმა კაცმა არ იცის, ვის მიჰყიდოს თავის ნაშრომის ნაყოფი და ამ გაჭირვებისა გამო სცდილობს მოსავალი რაც შეიძლება მალე გაყიდოს. ამით სარგებლობს ჩარჩი, იგი უდარაჯებს გლეხის გაჭირებას და ჩალის ფასად სტყუებს საქონელს. მაგალითად ქართლში ხშირად შეხვდებით რომ პატრონს ბაღის ორი წლის მოსავალი ჩარჩზედ აქვს გაყიდული.

აი ასეთი პატრონი ნაკლებად ფიქრობს თავის მამულზე, თითქოს თავისიც აღარა ჰგონია, უგულოდ უვლის და ამის გამო მამულიც უფუჭდება. ასეთ გაჭირებაში გლეხს 2—3 თუმანი რომ ჰქონოდა, ის ჩარჩვაჭრის მსხვერპლიც არ გახდებოდა.

ჩემის აზრით ზემოთ ჩამოთვლილ სენის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი საკრედიტო კოოპერაცია იქნება. როდესაც ასეთი სიმპატიური დაწესებულებანი ჩვენში მკვიდრად ფეხს მოიკიდებენ, მაშინ ხსენებულ მატყუარა ვაჭრებსაც სოფლად ბინა აღარ ექნებათ და გლეხიც სხვისგან დამოუკიდებელი, უფრო გულიანად შეუდგება საკუთარ მეურნეობის გაუმჯობესობას.

დარწმუნებული ვარ რომ ყველა ზემოხსენებული გარემოებანი ჩვენ საზოგადოებას წინადვე ჰქონდა გათვალისწინებული და ამისათვისაც ხალხის საშველად გაგზავნა სოფლად აგრონომები და ინსტრუქტორი ესენი თითქმის წელიწადია რაც მუშაობენ, მაგრამ მათი შრომის ნაყოფი ძალიან ნაკლებად მოსჩანს.

სოფლად გასულ მომუშავესათვის, აგრონომი იქნება ის თუ ინსტრუქტორი, ნაყოფიერ მუშაობისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ხალხის დაახლოებით გაცნობა და მათთან ნდობის მოპოვება. ეს კი ჩვენ სოფლებში პირველხანად ცოტა ძნელი მისაღწევია, რადგან თვით ქართველი გლეხი უნდოა,—უნდოა იმისთვის, რომ თავის სიცოცხლეში ის იშვიათად ჰხედავს მისთვის გულწრფელ მოკეთეს. მეტი წილი სულ მატყუარა და მყვლეფავ

ხალხთან აქვს საქმე. ჩარჩი, მამასახლისი, გზირი, მწერალი, ჩაფარი— ყველა ესენი ყოველ დღე ატყუებენ მას. ასეთ წრეში აღზრდილ გლეხს ნებაუნებლიეთ გულში ენერგება უნდობლობა და სოფლად მისულ უცნობ მომუშავესაც, ვინემ ეს უკინასკნელი სიტყვით ნათქვამს, საქმითაც არ უჩვენებს, გლეხს მატყუარა ჰგონია. ჩვენც სწორედ ასეთ პირობებში ვიმყოფებით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მეურნეობის სენს სიტყვიერი დარიგებით წამალი არასოდეს არ დაედება. მაშ საჭიროა ჯერ საქმე და შემდეგ სიტყვა. საქმეც, როგორც დაინახეთ მრავალია.

ვინ უნდა გაუწიოთ საშველად ხელი, თუ არა ხალხის კეთილდღეობით დაინტერესებულმა ქ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, რომლის პირდაპირი ზნეობრივი მოვალეობაა ამ თავიდანვე შეუდგეს ხეხილისა და ვაზის საკუთარ სანერგეების მოწყობას. იმედია ასეთი გეგმით დაწყობილი მუშაობა, სათაურშივე მოსპობს მეხილეობა-მევენახეობაში მოსალოდნელ შეცდომებს.

დაიწყობს თუ არა სანერგე მოქმედებას, გაიმართება ხალხის მისვლა-მოსვლაც & ეს იქმნება პირველი ნაბიჯი ხალხის დაახლოვებისა. როდესაც ხალხი დაინახავს ინსტრუქტორის მიერ წესიერად მოწყობილ სანერგეს და იქიდან წაღებული საქონელიც კარგი ღირსებისა გამოდგება, მაშინ ინსტრუქტორს გლეხი უნდოს თვალითაც აღარ შეხედავს. ამ გზით ჩვენ მოვიპოვებთ ხალხის ნდობასაც. სანერგეს თანვე უნდა მოეწყოს სამაგალითო საფუტკრე, ბოსტანი, სამეურნეო მაშინა-იარაღების საწყობი და სხვ.

რაც შეეხება იმ საკითხს, სად ან როგორ უნდა მოეწყოს სანერგე, ამაზე ჯერჯერობით არას ვამბობ, რადგან განზრახულ სანერგის გაშენებამდეს, საჭიროა ჯერ მისი დაარსების პრინციპიალურად გადაწყვეტა და ადგილის არჩევა. მხოლოდ ასეთი დადგენილების შემდეგ შესაძლებელი გახდება შემუშავება იმ გეგმისა, რომლითაც უნდა გინხორციელდეს ზემოხსენებული საქმე.

მეურნეობა ფშავ-ხევსურეთში

მგონი ყველა ჩვენგანს უნახავს ფშავ-ხევსური, მაგრამ უმეტეს ნაწილს კი წარმოდგენა არა აქვს, თუ როგორ ცხოვრობს ეს ხალხი, რით იკვებება, რა მეურნეობის დარგს მისდევენ უფრო მეტად. ფშავლები და ხევსურები ცხოვრობენ ფშავ-ხევსურეთის ხეობაზე, რომელიც სულ არაგვს მისდევს ჟინვანიდან დაწყობილი სოფელ უკანა ფშავამდე. ხევსურეთის ხეობა გაბრუნდება ორ წყალთან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ.

ფშავხევსურეთისაკენ ერთად-ერთი საცხენო ბილიკი მისდევს არაგვს, რომელიც აერთებს ქვევითა ბართან. რამდენი უფრო ზევით მიდის მგზავრი, იმდენი უფრო დიდი მთები ეხვდება წინ, ხეობა უფრო ვიწროვდება და საშინელი დიდი კლდეები ამაყად გადმოყურებენ ზევიდან მგზავრს. თითქმის მთელი სოფლები გაშენებულია ზედ არაგვის პირზე, სადაც კი პატარა სწორე ადგილს დაინახავთ. გზაზე აქა-იქ შეხვდებით სახნავებს საშინელ გორებ-

ზე, სადაც გამოუცდელ კაცს ფეხითაც კი გაუჭირდება სიარული, არამც თუ ხვნა. უმიწობის გამო, ნამეტნავად სა. წყალი ხევსური, ისეთ გორაკებსა ხნავს, სადაც ორი ხარი ძლივს მოტრიალდება; ერთი სიტყვით მთელი ფშავხევსურეთი მიუვალ ტყესა და კლდეებს უჭირავს, სადაც ბევრგან ჯერ კაცის ფეხი არც კი დაკარებია.

ხორბლეულობაში უფრო მეტად ქერს სთესავენ, უფრო ნაკლებად პურს და „კრუპას". ეს უკანასკნელი მცენარე ძალიან გავრცელებულია ნამეტნავად ზოგან; ხორბალი მისი შავია, სამკუთხიანია; თავთავი გაშლილია ფეტვივით, ყვავილი თეთრი იცის. იმის ხორბლისგან შავს პურს აცხობენ და ქათმებსაც აჭმევენ; როგორც სახელი გვიმტკიცებს, ეს მცენარე რუსეთიდან უნდა იყოს შემოტანილი.

საზოგადოდ ქერს თიბათვეში სთესავენ და მკიან ღვინობისთვეში, უფრო მეტად გლეჯავენ ხელით და პატარა ძნებს კრავენ.

მოსავალი მომკის შემდეგ ჯორებით ან მხარით მიაქვთ შინ და ლეწავენ ან მაშინვე, ან ზამთარში ყინულზე.

გალეწვით ზოგჯერ ხელით ლეწავენ, ბეგვენ, ზოგჯერ საქონლის ფეხით.

ზოგან ფშავხევსურეთში შეხვდებით პატარა ბოსტნებს, სადაც ნახავთ კარტოფილს, სიმინდს, კიტრს, ლობიოს, კომბოსტოს, მაგრამ ეს ყველაფერი ცუდად მოდის, ნამეტნავად ხევსურეთში.

ერთადერთი ცხოვრების წყარო ხევსურებისა მესაქონლეობაა. ხევსურები უფრო ძროხებს აშენებენ, ფშავლები კი ცხვრებს. საუბედუროდ არც იმდენი საჭმელი აქვთ, რომ ბევრი საქონელი გააჩინოს, რადგანაც ზამთარი დიდი იცის და საქონლის გამოკვება ძნელია; თივა ცოტა არის. თივას მაღალ მთებზე თიბავენ; სათიბები ძალიან თხელია და დაბალი ბალახი იცის. სათიბებში საკვირვლათ რბილი მიწაა მაღლა მთებზე, ასე რომ ფეხი შიგ მიდის სიარულის დროს. თივა მთიდან ზამთარში თოვლზე ჩამოაქვთ.

ფშავლებს, ვისაც ბევრი ცხვარი ყავს, ზამთარ-ზაფხულ შირაქში არიან და იქა ცხოვრობენ უმეტეს ნაწილად. უბინოთ გაჭირვებულნი შევიწროებულნი ფშავ-ხევსურნი ბარში დაეძებენ საცხოვრებელს. ყოველ წელიწადს ბევრი ჩამოდის ბარში: კახეთში, ერწოში, შირაქში, სადაც ყიდულობენ მამულს და იქ რჩებიან.

ფშავხევსურეთში ზამთარი ძალიან სუსხიანი იცის, სწყდება დიდხანს ყველაფერი მუშაობა და მიმოსვლაც კი, რადგანაც გზები არ არის და ძალიან დიდი თოვლი იცის.

ტყეები შემოსილია ჩვეულებრივი ხეების გარდა არყის ხით, ჟოლით, კრიჟოვნიკით და ბევრი სხვით. კლდეები, სადაც თითქმის ყოველგან გადმოჩუხჩუხებს ცივი წყაროები, შემკულია ლამაზი გვიმბრებით, სედიუმებით და ბევრი სხვით.

საზოგადოდ ბუნება ძვირფასია. შეჰყურებთ ამ საშინელ მთებს, კლდეებს და ქუდი გივარდებათ, თვალები გეღლევათ. ცოტას ხანს თვალებს დაასვენებთ და ისევ ზევითკენ იყურებით, სადაც ზოგან ხევსურების სოფლებია ზედ კლდეებზე მიკრული, ზოგან ზედ კლდეზე ხნავს საწყალი ხევსური თავისი პატარა გუთნით და უღელი ხარით. მეგუთნეს რაც ძალი და ღონე

აქვს ქვევიდან მიუცია მხარი გუთნისთვის და ზევითკენ ეწევა, არ დამიგორდესო.

საზოგადოდ ბუნებრივი სილამაზე ამ ადგილებისა დაუფასებელია, მაგრამ რამდენადაც ადგილი ლამაზია, იმდენად ხალხი ღარიბია; ნამეტნავად ხევსურები საშინელ სილარიბეს განიცდიან.

მეურნეობის დარგიდან ფშავ-ხევსურეთში ძალიან კარგად გამოდგებოდა საქონლის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა ყველგან და მებაღეობა მარტო ფშავლებში ორწყლამდენ, სადაც შეიძლება გამრავლდეს კარგად მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ალუბალი, კრიჟოვნიკი, მოცხარი, ჟოლი და სხვ.

საზოგადოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არაფერს მეურნეობას არ მისდევენ აქ გარდა მესაქონლეობისა და ცოტა ხვნა-თესვისა, თუმცა კი შეიძლებოდა ბევრს დაბლა ადგილებში მებაღეობაც.

რადგანაც თავისთვისაც საჭმელი ცოტა აქვთ, ამიტომ ფრინველებსაც ცოტას ინახავენ ფშავ-ხევსურნი

ამის მიუხედავად, რომ სილარიბეში ცხოვრობენ ხევსურები, მაინც ყოჩაღად და მხიარულად არიან. სტუმრის მოყვარეობა ძალიან არის დაცული მათში და ამ დიდებულ დღისათვის ხევსურს შენახული აქვს ერბო და ძველი დუმა.

იმედია, რომ როდესაც რკინის გზა გაივლის ფავ-ხევსურეთზე, კულტურას შეიტანს მათში და გაუმჯობესებს მათ ცხოვრებას. შვეიცარიაში მარტო მგზავრი ხალხი სტოვებს ყოველ წელიწადს 40 მილიონ მანეთს იმათ მთებში და მე მგონი ჩვენი ფშავ-ხევსურეთის ბუნებრივი სილამაზე არ ჩამოურჩება შვეიცარიისას.

დ. გორთამაშვილი

საუკეთესო მეწველი ძროხის ნიშნები და პირობები ძროხის გაუმჯობესებისათვის

კარგი მეწველი ძროხა უნდა იწველიდეს წლიურად 6—12-ჯერ მეტ რძეს, ვიდრე თვით ძროხა იწონის.—(საუკეთესო ძროხა **ჯერზეი**, იწველის ორთაშუა რიცხვით დღეში 24 ლიტრს, ყოველ მის 12 გირვანქა რძიდან გამოდის სულ უკანასკნელი 2 გირვანქა კარაქი).

როდესაც ვშინჯავთ მეწველ ძროხას, უნდა მივიღოთ მხედველობაში: ახალი მეწველია თუ უკვე დამდგარი ერთ დონეზე ეს იმიტომ, რომ პირველ ნაყოლი სანამ შეიმუშავებს თავის რძის მომცემლობას, ბევრ დროს და ყურადღებას თხოულობს, ვიდრე რამდენიმე ხბო ნაყოლი. აგრედვე დიდი მნიშვნელობა აქვს, ძროხა ახალი მოგებულია თუ უკვე ერთი ან ორი თვე არის გასული რაც ხბო მოიგო. სანამ ძროხა მოიტეხინებს და გაიმართება რძის მომცემლობისათვის, საჭიროა არა ნაკლებ ერთი თვე.

საუკეთესო მეწველ ძროხის ამოსაცნობად მიღებულია შემდეგი ნიშნები: **1)** რძის მომცემ ძროხას უნდა ჰქონდეს შეხედულობა ლამაზი და ფხიზელი; ტყავის კანი თხელი და წმინდა მშვენიერი სუფთა რბილი ბალნით მოფენილი. ასე შემკულ საქონელს აქვს ძალიან ინტენსიურად მომქმედი ორგანიზმი, რომლის წყალობითაც იგი

ყოველივე საჭმელს ძალიან ჩქარა დაიმუშავებს და ფიზიოლოგიურად საუკეთესოდ გამოიყენებს. 2) კისერზე უნდა ჰქონდეს მრავალი ნაკეცები. 3) იმ დროს, როდესაც ჩვენ მეწველ ძროხას კანის მიხედვით ვარჩევთ, უნდა მივიღოთ მხედველობაში მისი წლოვანობა და რიცხვი ხბო-ნაყოლობისა. საერთოდ ჯიელ საქონელს მუდამ უფრო სქელი კანი აქვს, ვიდრე რამდენიმე ხბო-ნაყოლ ძროხას, რადგან კარგ მეწველ ძროხას, რამდენიც ხანში შედის, კანი უთხელდება და უწმინდავდება კიდეც.

ზედმიწევნით წლოვანობა და რიცხვი ხბო-ნაყოლობისა შეგვიძლიან გავიგოთ რქის საშუალებით. ყოველ ხბონაყოლ ძროხას, ეტყობა რქებზედ გარშემო შემორტყმული რგოლები. რამდენადაც ეს რგოლები სუფთა და ახლო-ახლო არიან, იმდენ ხბო-ნაყოლობას გვაჩვენებენ. ამნაირ რგოლების შუა ხშირად ემჩნევა აგრედვე რგოლი, რომელიც სხვა რგოლებთან შედარებით განიერიც არის და უფრო ღრმად ჩაჭდეულიც ეს არის იმის ნიშანი, რომ ძროხა ბერწათ არის ნამყოფი.

უნდა დაითვალოს რქაზედ რგოლები. ის რგოლები, რომლებიც აჩვენებენ ხბო-ნაყოლობას, ჩაითვალოს თითო-თითო წლათ და სიბერწისა კიდევ ორ წლათ. ამ რიცხვს მიუმატებთ სამ წელიწადსაც, რადგან მიღებულია რომ ძროხა იწყობს ხბონაყოლობას სამი წლის შემდე, და გავიგებთ ზედმიწევნით ძროხის წლოვანობას, ხბო ნაყოლობას და სიბერწეს.

4) სუფთა ნაკეცები და ნაზი კანი თვალებსა და შუბლს გარშემო, ნიშანია კარგ მერძეულობისა, მაგრამ აგრედვე მაჩვენებელია ძროხის მალე დაბერებისა.

5) მერძეულ ძროხას ქოჩრის ბალანი შუბლზე მუდამ სუფთა და რბილი აქვს, ტანის ბალანთან შედარებით.

6) რამოდენათაც ნეკნები შორიშორს დგანან ერთიმეორისაგან იმდენად ეს კარგი ნიშანია მერძეულობის, რადგან სახორცე საქონელს ნეკნები უფრო ახლო-ახლო აქვთ მოყვანილი. ბოლო ნეკნებ შუა მანძილი ორი თითის სიგანე მაინც უნდა იყოს. ცური უნდა იყოს დიდი, ოთხ-კუთხიანი შეხედულობისა და მასთანვე განივრად შეკრული. მოწველის შემდეგ, ცური უნდა ცარიელი მჩვარივით დაეკიდოს და არა უწინდელივე შეხედულობა ჰქონდეს. მშვენიერი ნაზი კანი ცურისა ძალიან სასურველია, რადგან სისხლის მილები კან ქვეშ ცხადლივ მოჩანან. შეიძლება შეხედულობით ცური დიდი იყოს, მაგრამ ძალიან ცოტა რძეს იძლეოდეს. როდესაც ამნაირ ძროხასა ვწველავთ, ცურს არც კი ეტყობა მოწველა, იმიტომ რომ ამნაირი ცური ხორცის უჯრედებითაა სავსე და რძეს ცოტას იყენებს. ცურის კანი უნდა იყოს თხელი, სუფთა, უმეტესად მოთეთრო-მოყვითალო ფერისა. ცურის ბალანი უნდა იმდენად მოკლე, ფაქიზი, სქელი და პეწიანი იყოს, რომ ცური თითქმის უბალნოთ გვეჩვენებოდეს.

მრავალი აქა-იქ მოგრძო ბალნები ცურზე, წოდებული შიმშილის ბალნებათ, ნიშანია იმისი, რომ ძროხა ძნელი გამოსაკვებია, ესე იგი ვერ იყენებს საჭმელს.

გძელი კუდი, ბოლოზე სქლად მოფენილ ბალნით ნიშანია იმისი, რომ

ძროხას სისხლი მთელ ტანში კარგად უმოძრავებს და საჭმელს რიგიანად იყენებს.

თუ ცური ზემოდ ნახსენებ ნიშნებიანია და ძროხა მაინც ცოტას იწველის, ამ შემთხვევაში შეგვიძლიან გავაუმჯობესოთ მისი რძის მომცემლობა.

რამდენადაც მალ-მალ მოვწველით იმდენად რძის უჯრედები ვითარდებიან და უფრო მეტ რძეს მოგვცემენ. ამ შემთხვევაში კარგი იქნება თუ პირველ ნაყოლ ძროხას თავიდანვე ყურადღებით მოვექცევით. პირველ თვეს უნდა ვწველოთ დღეში ექვსჯერ, მეორე თვეს ოთხჯერ და შემდეგ თვეებში არა ნაკლებ სამჯერ.

თუ ასე მოვიქცევით, მალე მივაღწევთ ჩვენ საწადელ მიზანს და დავაყენებთ მეწველ ძროხას სამუდამოდ ერთ დონეზედ.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვე იმას, თუ როგორ ვწველით.

ჩვენში სწველიან ამ რიგათ: მოუდგებიან მარჯვნივ, ჯერ ჩამოსწველიან ერთად მარჯვენა წინა და უკანა ძუძუებს და მერე მარცხენა ძუძუებს ერთად. ამ რიგზედ წველით რძე ბევრი იკარგება, რადგან უკანა ძუძუებში მუდამ უფრო მეტი რძეა, ვიდრე წინებში და თუ ჩვენ წინა და უკანა ძუძუებს ერთად ვწველით, მუდამ უკანა ძუძუში რძე ბევრი დაგვრჩება და ტყუილ-უბრალოდ იკარგება. ზემოხსენებულ მიზეზისა გამო უმჯობესია წინა ძუძუები ერთად და უკანები ერთად ჩამოვწველოთ, რომ ავიცდინოთ თავიდან რძის უბრალოდ დაკარგვა.

რძის მომცემლობაში აგრედვე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ხბოს მოვაშორებთ დედას. ბევრი დედა წველის დროს იპარავს რძეს. ამ შემთხვევაში, რძე — რძეთ იკარგება და ხბოც ბევრჯერ დაავადმყოფდება ხოლმე. თუ ხბოს ცალკე ვიყოლიებთ, ბევრ სარგებლობას ვნახავთ.

როცა ხბო ცალკე გვყავს, მოშორებული, დედა მუდამ მეტს იწველის. ამ შემთხვევაში ხბოს ეძლევა თავის საკმარისი რძე. ასე, რომ არას დროს ზედმეტი რძის გამო აღარ დაგვიავადმყოფდება. როდესაკ ხბო დედას სწოვს ჩვენ არ ვიცით ხოლმე მშიერია იგი თუ მაძღარი.

რძის მომცემლობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხის მოვლას და საჭმელს. რამდენადაც ძროხას რიგზე ვაჭმევთ და სუფთად შევინახავთ იმდენად მეტ რძეს მოგვცემს. სიცივეც ძალიან გვაკლებს რძეს. ამიტომ სითბო თავლაში არანაკლებ 14—15°C უნდა იყოს განუწყვეტლივ. სინათლესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც თავლა სინათლიანია, იმდენად ძროხა საჭმელს საუკეთესოთ გამოიყენებს და რძესაც მეტს მოგვცემს. თუ თავლაში გვიბია ძროხა, უნდა ვეცადოთ, რომ საჭმელ-სასმელი მუდამ დანიშნულ დროს მივაწოდოთ და არა წარამარა. ყოველ დღე ძროხას უნდა სუფთად ეცლიდეთ და თავლაც სუფთად უნდა ინახებოდეს. აგრედვე საჭიროა ძროხას მუდმივ ერთი ძომვლელ-მწველელი ჰყავდეს და არა სხვადასხვა, რადგან საქონელმა ძალიან შეჩვევა იცის. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვე ჰავასაც. როდესაც ძროხა ერთი ადგილიდან მეორეში გადაგყავს, იგი ვარდება შეუჩვეველ კაცის ხელში და შეუჩვეველ ადგილ-მამულში. ამ შემთხვევაში ძროხა შესამჩნევად იკლებს წველვას და სა-

ნამ არ შეეჩვევა ახალ პირობებს, უწინ-დებურად არ მოიცემა რძეს.

თუ მომწველავი უცოდინარია კარგი მეწველი ძროხა შეიძლება გაფუჭდეს და რძის მოცემა გაანახევროს.

როგორც ხედავთ ყველაფერს ხელის შეწყობა და გამოცდილება უნდა, რომ ჩვენ საწადელ მიზანს მივაღწიოთ.

დასასრულ აუცილებლივ საჭიროა, რომ თავლაში თუ მინდორში მუდმივი სიმშვიდე იყოს დაცული.

რ. გედევანიშვილი.

ცოცხალი ღობეების გაკეთება

(წერილი სოფლიდან)

გურიის მემამულეებს მამა-პაპიდან დაწყებული ყოველ წლობით ვაჰყავთ ღობეები, რაც მათ იაფად არ უჯდებათ. ღობის შეკეთება თხოულობს ყოველ წლობით აუარებელ მუშაობას და დროს. ჭირნახულის დამუშავეების და შენახვის შემდეგ მამული პირუტყვების ანაბარა რჩება, რომლებიც ღობეებს ფეხით აოხრებენ. გაზაფხულობით კი, როდესაც მოაწევს ხვნა-თესვის დრო, ხელახლა შეუდგებიან ღობეების შეკეთებას და ასე ამ რიგად ყოველ წლობით უვიცი მემამულე ღობის შეკეთებაში აუარებელ დროსა და მუშაობას კარგავს.

ძვირად მოიპოვება ისეთი მემამულე, რომ მას ღობის გაკეთებაც და ყოველი სხვა სამეურნეო საქმე წესიერად ჰქონდეს დაყენებული. მას არ სწამს მცოდნე კაცების დარიგება და ამბობს: „პაპა ჩვენიც და მამა ჩვენიც ასე მუშაობდნენ, მაგრამ მოსავალი კი მოსდიოდათო!“ იმას არ ფიქრობენ, რომ რაც დრო გადის, მიწას სინოყივრე აკლდება, მჩატდება და აუარებელი მტრები უჩნდება. რა თქმა უნდა ამისთანა სენს შველა უნდა, მაგრამ ნასწავლი მუშა ჩვენში არ იცდის, მიდის სხვაგან და მოჯამაგირედ უდგება სხვას, რომ ლუკმა პური იშოვოს; ბევრჯელ შევკითხებივარ:—„რა გიჭირს კაცო, შენ სამშობლოში რომ იმუშავო და რამე აქაურებს ასწავლო“; ის ასე გიპასუხებს:—„ძამიავ, სოფელში შიმშილით მოკვდებიო“. სოფლის მეურნეობა კი რჩება ისევ ძველებური, მამული შეუღობავი, მოუვლელი, საქონლისაგან გატიალებული.

ცოცხალი ღობის მოსაშენებლად ხმარობენ ეკლიან მცენარეს, რომ თავისუფლად ადამიანს თუ საქონელს ვერ შეეძლოს გადასვლ-გადმოსვლა. ამისთანა მცენარეებს ეკუთვნის: ქრისტეს გვირგვინი (гледичія), კუნელი, ლობიოს ხე, ზღმარტლი, ბროწეული და სხვა...

ზემო ჩამოთვლილ მცენარეებში ყველაზე უფრო უპირატესობა უნდა მიეცეს ქრისტეს გვირგვინს, კუნელს და ზღმარტლს, რადგან მათ არ იციან ადგილის დაჩაგვრა ამიტომ თუ გაიფიქრებთ ცოცხალი ღობის მოშენებას, უნდა მოიქცეთ ამ რიგად: პირველად: სადაც აპირებთ ღობის გაშენებას, უნდა მოთხაროთ არხები სიგანით ერთი არშინი, სიღრმით კი სამი ჩარექი (3/4 არშ.) და ჩარგათ უნდა მცენარე ერთი არშინიდან სამი ჩარექის სიღრმემდე, თითო არხში ორ რიგად. ერთი მცენარე მეორეს უნდა შორავდეს ნახევარ არშინით ჭანდრაკის წესზედ.

პლანში დასარგავი მცენარე უნდა ამოიღოთ მიწიდან ფრთხილად, რომ ნორჩ მცენარეს ნორჩი ფესვები არ დააწყდეს. რამდენადაც მცენარეს მომეტებული ექნება ეს ფესვები, იმდენად მალე გაიზრდება და კარგადაც იხარებს. ქრისტეს გვირგვინმა საზოგადოდ მიწაში გრძლად იცის დედო ძირის წაღება, რისგამო დარგვის დროს, ის შეგიძლიანთ შეამოკლოთ ერთ ჩარექამდე, მხოლოდ არ შეეხოთ ნორჩ ფესვებს. დარგვა და მოშენება ცოცხალი ღობისა შეიძლება შემოდგომით და გაზაფხულობით. სადაც სიცივეები და ნამეტარი ყინვები იცის იქ კი საჭიროა გაზაფხულზედ გააშენოთ. როდესაც არხები მზად არის, შეუდგებით მცენარის დარგვას. აიღებთ მცენარეს, ჩააწყობთ არხებში ორ რიგად ჭანდრაკის წესზე, ასე რომ, როგორც ზემოთა ვსთქვი, ერთი რიგი მცენარეებისა, მეორე რიგის შუა უნდა მიდიოდეს ნახევარი არშინის სიშორეზედ ერთი-მეორიდან. შემდეგ არხებს მიწით გაავსებთ და დატკეპნით მაგრად. მთელი ზაფხულის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ დასჭირდება გათოხნა, რომ ბალახი არ მოერიოს. გიორგობისთვეში გინდ გაზაფხულზე მცენარე უნდა გაისხლას ნახევარ არშინზე. ასე გადაკრეჭილ მცენარეს ეზრდება მრავალი ტოტი, ფოთოლი და სხვა...

დარგვის მესამე წელიწადს მცენარე გაიზრდება სამ არშინამდე, შეიძლება მეტიც. საზოგადოდ მიღებულია ცოცხალი ღობის სიმაღლე ორი არშინი. ამიტომ თუ კი მესამე წელიწადს სამი არშინი და მეტიც გაიზარდა, შეგვიძლიანთ მაკრატლით შეამოკლოთ ორ არშინზე. მეოთხე წელიწადს უნდა მიეცეს ტანს ფორმა, რომ ტოტები არ იყოს იქით-აქეთ გაშვერილი. ყველაზე უფრო კარგი დრო გასხვლისთვის არის თიბათვე ან მკათათვე.

ცოცხალ ღობეს კრეჭავენ ექვს წლამდის, ვიდრე ბუჩქები კარგად გათამამდებიან და ერთიმეორეში გადიხლართებიან. როდესაც ღობეს ექნება ორი არშინი სიმაღლე, მაშინ ტოტები შეგიძლიანთ თავის ანაბარა დასტოვოთ, რომ სარად (ჭიგოთ) გამოადგეს მემამულეს. აქედან ცხადად სჩანს, რომ მემამულეს ორნაირი სარგებლობა აქვს: ყოველ სამ წელიწადს ექნება სარი და მუდმივი ღობე. ცოცხალი ღობე სიიაფით, გაძლებით და სხვაფრივ მოსახმარ მასალისთვის ძლიერ სარგებლიანი არის.

ნ. ჭეიშვილი

მეურნეთა საყურადღებოდ

ამ უკანასკნელ წლებში მებამბეობამ დიდი ყურადღება მიიქცია როგორც მთავრობისა, აგრედვე მეურნეთა. მიზეზი ასეთი ყურადღებისა ის არის, რომ რუსეთს საკუთარი ბამბა არა ჰყოფნის, და იძულებულია ისარგებლოს ამერიკიდან მოტანილ ბამბით.

რუსეთის მრეწველობის განვითარება და წინმსვლელობა შეუძლებელია, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ მოისურვებენ რუსეთს ბამბა მიჰყიდონ (11 მილიონამდე ფუთი შემოდის უცხოეთის ბამბა რუსეთში). ამიტომ მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობს, რომ რუსეთშივე მოიყვანოს საკმაო ბამბა და არ იყოს დამოკიდებული უცხოეთისაგან.

ამ ბოლო დროს ბამბის თესვა-მოყვანას დიდი წარმატება ეტყობა და ფასებმაც საკმაოდ აიწიეს.

თუ რამდენად სარფაა ბამბის მოყვანა შედარებით სხვა მცენარეებთან, ეს სჩანს მაგალითად ერევნის გუბერნიის მეურნეობიდან.

ერთი დესეტინა ბამბის მოყვანა დიღს:

მოხვნა და დაფარცხვა..	15 მან.	
7 ფუთი ბამბის თესლი (ფუთი 50 კ.).....	3 „	50 კ.
დათესვა.....	1 „	
მარგის გაკეთება (დაკვალვა).....	3 „	
მორწყვა ხუთჯერ....	10 „	
მიწის გასწორება მორწყვის შემდეგ.....	1 „	50 კ.
პირველი გამარგვლა..	6 „	
მეორე „ ...	6 „	
მესამე „	4 „	
წამლობა გოგირდით..	7 „	
ბამბის მოკრეჭა...	15 „	
50 ფუთი ბამბიდან კურკის გამოცლა	6 „	
სულ....	...78 მან.	

ერთი დესეტინა შუათანა მოსავალი იძლევა 20 ფუთ უკურკო ბამბას და 40 ფუთ თესლს. ფუთი უკურკო ბამბა 12 მანეთად რომ ვიანგარიშოთ და კურკაც ფუთი 50 კაეიკათ, შემოსავალს მივიღებთ 260 მანეთს. ამას რომ გამოვაკლოთ გასავალი 78 მან., წმინდა მოგება დარჩება 182 მან.

ეხლა გადავიდეთ პურის მოყვანაზე.

ერთი დესეტინა პურის მოყვანა დიღს:

მოხვნა და დაფარცხვა..	15 მან.	
15 ფუთი პურის თესლი (ფუთი 1 მან. 20 კ.).	18 „	
დათესვა.....	1 მან.	
მორწყვა სამჯერ.....	3 „	
მომკა.....	10 „	
კალოზე მიტანა.....	3 „	
გალეწვა	10 „	
განიავება.....	2 „	50 კ.
ბზისა და პურის დაბინავება.....	2 „	50 კ.
სულ...	65 მან.	

შუათანა შემოსავალი—ასი ფუთი ხორბალი (ფუთი 1 მან. 20 კაპ.) და ასოცი ფუთი ბზე (ფუთი 10 კ) შეადგენს—132 მანეთს. გასავალი რომ გამოვაკლოთ—წმინდა შემოსავალი რჩება 67 მანეთი.

ამ რიგად დესეტინა ბამბა იძლევა წმინდა შემოსავალს 182 მანეთს, პური კი 67 მანეთს.

მებამბეობას ჩვენში მისდევენ უფრო ქუთაისის გუბერნიაში, მისდევდნენ კახეთშიაც ალაზნის პირას, სადაც ბამბა კარგ მოსავალს იძლეოდა თურმე. შესაძლებელია, რომ ბევრი სხვა ადგილებიც იყოს გამოსადეგი ჩვენ სამშობლოში ბამბის დასათესად, ამას კი გამოკვლევა უნდა.

როგორც ვიცით ბამბას უყვარს ცხელი და ყუდრო ადგილი. ამიტომ ნიადაგს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს. თბილი და უწვიმო შემოდგომა ხელს უწყობს ბამბის კარგ მოსავალს.

ადგილის გამოსაცდელად საჭიროა რამდენიმე წლის განმავლობაში ითესებოდეს ბამბა მცოდნე პირის ხელმძღვანელობით.

თუ როგორ უნდა ბამბის მოვლა-მოყვანა, ამაზე უკვე იყო დაწერილი ჟურნალ **„მოსავალში“**.*)

*) ბ-ნი ტარატინოვის წიგნაკი, ქარ.თული თარგმნი.

ბამბის დათესვა კარგ მოსავალს მისცემს ჩვენ გლეხკაცს, კარგ ფასში იყიდება და კურკაც სასარგებლოა საქონლის საკვებად და აგრედვე მიწის სასუქად.

კარგი იქნება, რომ ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ იკისროს ახალი ადგილების გამოკვლევა და ამ საგანზე აღძრას საკითხი მომავალ მებამბეთა კრებაზე, რომელიც შესდგება 1—5 ნოემბერს ქ. თბილისში.

ი. ქურდიანი

სანიმუშო წესდება

წვრილი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა

VII

როგორ უნდა გაიხსნას მომხმარებელი საზოგადოება

ყველაზე ადვილი საშუალება მომხმარებელ საზოგადოების გახსნისა არის დაარსება მისი სამინისტროს მიერ 1897 წელს 13 მაისს მომხმარებელ საზოგადოებათათვის დამტკიცებულის სანიმუშო წესდებით.

წაიკითხავთ რა გულდასმით წესდებას, რომელიც მოგვყავს ქვევით და იშოვით 40—50 კაცს, რომელნიც განაცხადებენ სურვილს მომავალ მომხმარებელ საზოგადოებაში წევრად ჩაწერაზე, შეიძლება შეუდგეთ საზოგადოების დაარსების თადარიგს.

ამ მიზნისთვის უნდა გამოიწეროთ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებიდან (ტფილისი, ბარიათინსკის ქუჩა, 5.) ორი ეგზემპლიარი სანიმუშო წესდებისა. სანიმუშო წესდებაში გამოტოვებული ადგილები უნდა შეავსოთ საჭირო ცნობებით. როცა ორივე ეგზემპლიარს შეავსებთ ერთნაირად, მას უნდა მოაწერონ ხელი დამაარსებლებმა, რიცხვით 20 არა ნაკლებმა. უკეთესია, თუ ხელს მოაწერს 25—30 კაცი. ხელი უნდა მოეწეროს ვრცლად, ესე იგი ჩაიწეროს: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და საცხოვრებელი ბინა.

წესდების ერთს ეგზემპლიარს უნდა წაეწეროს ზემოდან „წესდების პროექტი“, მეორეს კი—„წესდების პროექტის პირი“.

ამის შემდეგ უნდა დაიწეროს შემდეგი შინაარსის თხოვნა:

Его Превосходительству,
Г. Начальнику (такои-то губ.)

(имена, отчества, фамилія, званія и мѣстожительства подписавшихся).

ПРОШЕНІЕ

Мы, нижеподписавшіеся, жители села деревни (такой-то) признали необходимымъ учредить въ своемъ селѣ (или деревнѣ) потребительное общество по прилагаемому при семъ нормальному уставу, а потому имѣемъ честь просить разрѣшить открытіе (токого-то) потребительнаго общества. Число, мѣсяцъ годъ.

თხოვნას ხელს აწერენ ისინი, რომელთაც მოაწერეს ხელი წესდების პროექტს და მის პირს.

თხოვნაზე უნდა დაეკრას ორი 75 კაპ. საგერბო მარკა. ასეთივე მარკები უნდა დაეკრას წესდების პროექტის თითო ფურცელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა აიცდინოთ მეტი ხარჯი მარკების სყიდვით, წესდება უნდა შეიძინოთ დაბეჭდილი, რომელიც მოთავსებულია ორ თაბახ ქაღალდზე და, მაშასადამე, საჭირო იქნება მხოლოდ ორი მარკა. ხელით რომ დაიწეროს წესდება, მაშინ 10 მარკაზე მეტი მოუნდება, რადგანაც ხელით დაწერილი წესდება დაიჭერს 10 თაბახ ქაღალდზე მეტს.

თხოვნა შეიძლება გაეგზავნოს გუბერნატორს ფოსტით, ან პირადად მიეცეს დამაარსებელთა რწმუნებულის ხელით. უკანასკნელს შემთხვევაში რწმუნებულს დამაარსებლებმა უნდა მისცენ რწმუნებულობის ქაღალდი, რომელიც უნდა შემოწმდეს ან ნატარიუსში და ან სასოფლო სამმართველოში.

დამფუძნებელ კრების მოწვევა შეიძლება მხოლოდ გუბერნატორისაგან ნებართვის მიღების შემდეგ.

მომხმარებელმა საზოგადოებამ სავაჭრო უნდა გახსნას მხოლოდ მაშინ, როცა მოაგროვებს 200—300 მანეთს. პაი არ უნდა იყოს 5 მანეთზე ნაკლები. შესასვლელი ფასი არა ნაკლებ 50 კაპ. გახსნისათანავე დამაარსებელნი უნდა ფრთხილად მოიქცნენ: არ უნდა გამოუდგნენ დიდის ვაჭრობის დაწყებას პირველში, როცა მათ ჯერ საკმარისი თანხა არ ექნებათ.

დაარსების პირველ დღიდანვე საზოგადოებისათვის კარგი იქნება, თუ დამაარსებელნი იხელმძღვანელებენ რომელიმე ფეიქრების მომხმარებელ საზოგადოების შემდეგ წესებით:

1. წევრნი უნდა იყვნენ თანასწორუფლებიანი და საზოგადოების საქმეებში ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმა.

2. პაი არ უნდა იყოს დიდი, რათა მიიზიდოს ღარიბი მცხოვრებნიც.

3. პაის რიცხვი ყველასათვის განსაზღვრული უნდა იყოს.

4. ვაჭრობა შეიძლება მხოლოდ ნაღდზე და არა ნისიად.

5. საქონელი უნდა გაიყიდოს მაზანდაზე და არა ნასყიდობაზე.

6. მოგება უნდა განაწილდეს ნავაჭრის კვალობაზე და არა პაიებზე.

საქონელი უნდა გაიყიდოს არა მარტო წევრებზე, არამედ ყველა მსურველზე ერთნაირის ფასით ყველასათვის.

ამას გარდა საქმის წესიერად წასაყვანად არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მომხმარებელ საზოგადოების მოსამსახურეთადმი მზრუნველობითი მოპყრობას, მათთან კარგს განწყობილებას და მათი შრომის კარგად დაფასებას.

წესდების დამტკიცებისათანავე დამარსებლებმა უნდა გაგზავნონ თხოვნა ადგილობრივ სახაზინო პალატაში საეაჭრო მოწმობის მისაღებად. თხოვნაზე უნდა დაეკრას ორი 75 კაპ. მარკა.

დამაარსებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ის მომხმარებელი საზოგადოება, რომლის პაიებისაგან შემდგარი თანხა არ აღემატება 10,000 მ. (10 п. 371 ст. о Государ. промысл. пал.), განთავისუფლებულია სავაჭრო გადასახადისაგან. ამისდა მიუხედავად საზოგადოებას მაინც უნდა ჰქონდეს მოწმობა, რომელსაც სახაზინო პალატა უფასოდ მისცემს. ასეთი მოწმობა მიეცემა მხოლოდ ერთი წლით. ახალ მოწმობის მისაღებად მომხმარებელმა საზოგადოებამ უნდა მისცეს სახაზინო პალატას თხოვნა, რომელზედაც უნდა ორი მარკა დააკრას და რომელთანაც უნდა

წარადგინოს საზოგადოების მოქმედების ანგარიში და წინანდელი მოწმობა.

თუ საზოგადოებას განზრახვა აქვს ივაჭროს, სხვათა შორის, თამბაქოთი და მაგარი სასმელებით, მან უნდა აიღოს ფასიანი მოწმობა ოლქის სააქციზო სამმართველოდან.

რომ წესიერად აწარმოოს ანგარიში, საზოგადოებამ დაარსების პირველ დღიდანვე უნდა შეიძინოს ქვემოთ ჩამოთვლილი საანგარიშო დავთრები:

1) დღიური, 2) კასის წიგნი, 3) პირადი ანგარიშების წიგნი, 4) საქონლის წიგნი და 5) ინვენტარის წიგნი.

მომხმარებელ საზოგადოებას, როგორც სხვა ყოველგვარ კოოპერატიულ ორგანიზაციას, შეუძლიან, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების 1905 წლის სამაგალითო წესდების მე-12 მუხლის ძალით, ჩაეწეროს საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრად და სესხად გამოიტანოს ფული უგირაოთ 300 მანეთამდე, მხოლოდ ქვემოდ მოყვანილი პირობების დაცვით კი. ეს პირობები დამტკიცებულია წვრილი კრედიტის ცენტრალურ კომიტეტის მიერ 9 ოქტომბერს 1907 წ.

1. სოფლის საზოგადოებამ, ამხანაგობამ და თანამშრომელთა კავშირმა, თუ ჰსურთ წევრად ჩაწერა საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში, უნდა წარადგინონ წესიერად შემდგარი და საჭიროების დროს წესიერად დამტკიცებული: ან სოფლის საზოგადოების განაჩენი და ან პირობის ხელწერილი, რომლებშიაც უნდა მოხსენებული იყოს: ა) კრედიტის რაოდენობა. რომელიცა ჰსურს სოფლის საზოგადოებას, ან ამხანაგობას და ან თანამშრომელთა კავშირს; ბ) სესხის გადახდის ვადა და ის შემოსავლის წყარო, რომლითაც სოფლის საზოგადოება, ან ამხანაგობა და ან თანამშრომელთა კავშირი გადაიხდის ვალს (მაგ. შენობის შემოსავალი; სოფლის საზოგადოების მიწის შემოსავალი, რომელიც ამ მიზნისთვის იქნება გამოყოფილი საზოგადოების საკუთარ მიწიდან განაჩენით და სხვ.), გ) სოფლის საზოგადოების, ან ამხანაგობის და ან თანამშრომელთა კავშირის რწმუნებული, რომელსაც ექნება უფლება მისცეს ხელწერილი ვალდებულობის გადახდაზე და საზოგადოდ იქონიოს მოლაპარაკება სესხის შესახებ საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობასთან. დ) რომ საზოგადოება ან ამხანაგობა და ან თანამშრომელთა კავშირი კისრულობს სრულს პასუხის მგებლობას საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის ზარალის დროს სხვა ამ უკანასკნელ ამხანაგობების წევრებთან თანასწორად და შეასრულებს წესდებას.

2) კრედიტს სოფლის საზოგადოებას, ამხანაგობას და ან თანამშრომელთა კავშირს უხსნის საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის საბჭოსი და გამგეობის წევრთა შეერთებული სხდომა.

3) კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს . . . . . მან. სოფლის საზოგადოების თითო კომლზე და ამხანაგობის ან თანამშრომელთა კავშირის თითო მონაწილეზე.

4) ფულს სესხად გამგეობა აძლევს იმ წესით, რომელიც დადგენილია საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წესდებაში.

ამასთანავე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ზემოდ ჩამოთვლილი წესები ვრცელდება მხოლოდ იმ საზოგადოებებზე, რომელთაც დაწესებული აქვთ წევრთა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. რადგანაც მომხმარებელ საზოგადოებაში არ არის მიღებული წევრთა პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებზე, ამიტომ წვრილი კრედიტის საქმეების სამართველო აძლევს მას ნებას საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრად ჩაწერისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი საზოგადოება შესცვლის თავის წესდებას და დაადგენს წევრთა პასუხისმგებლობას ამხანაგობის წინაშე. შეიძლება ეს პასუხისმგებლობა იკისროს მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კეთილსაიმედო ერთმა ჯგუფმა, რომელმაც თანხმობა ამის შესახებ უნდა განუცხადოს ამხანაგობას.

წესდება მომხმარებელი საზოგადოებისა.

მიზანი, უფლებანი ⁄ მოვალეობანი საზოგადოებისა.

§ 1. მომხმარებელთა საზოგადოება (სახელი და ადგილი) არსდება იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება იაფად ან ხელმისაწვდენ ფასად მიაწოდოს თავის წევრებს სანოვაგე და ოჯახსა და მეურნეობაში სახმარებელი სხვადასხვა საქონელი და ნივთი და აგრეთვე შეძლება მისცეს მათ საზოგადოების მოგებიდან შეინახონ ფული.

შენიშვნა. საზოგადოებას თან შესაფერის ნება-რთვით და მომქმედ დადგენილებათა თანახმად, შეიძლება მოეწყოს სხვა დაწესებულებანი, რომელთაც აზრად ექნებათ სხვადასხვა საშუალებით და ღონისძიებით საზოგადოების წევრთა ცხოვრების ქონებრივ და ზნეობრივ პირობათა გაუმჯობესობა.

§ 2. თანახმად პირველ პარაგრაფში აღნიშნულ მიზნისა, საზოგადოებას ნება აქვს: ა) მოაწყოს სანოვაგის და ოჯახში სახმარებელ საქონელ-ნივთების საკუთარი საწყობები და სავაჭროები ან იჯარით აიღოს იგინი; ბ) დასდოს გარეშე პირებთან ან დაწესებულებებთან ხელშეკრულებები და პირობები იმის შესახებ, რომ ისინი საზოგადოებას მიაწვდიან სანოვაგეს და ოჯახში საჭირო საქონელ-ნივთებს, დასდოს აგრეთვე ხელშეკრულებები და პირობები იმ ფულის შესახებ, რომელიც საჭიროა საზოგადოების მოქმედებისათვის; გ) შეიძინოს საკუთრებად, საზოგადო კანონების თანახმად, უძრავი ქონება, საჭირო საზოგადოების დანიშნულებისათვის და დ) შესაფერის ნება-რთვით, კავშირი და ურთიერთობა იქონიოს სხვა ამგვარსავე საზოგადოებებთან.

§ 8. საქონლით და სანოვაგით ვაჭრობა წევრებზე უნდა ხდებოდეს ნაღდ ფულით ან ნისიად, რომლის პირობებიც საზოგადო კრებამ უნდა შეიმუშავოს.

შენიშვნა. ამ პარაგრაფში აღნიშნულ საქონლის გაყიდვა გარეშე ხალხზედაც შეიძლება, მაგრამ უსათუოდ ნაღდ ფულზე და იმ პირობით, რომელსაც საზოგადო კრება შეიმუშნვებს.

§ 4. საზოგადოება, მისი სავაჭროები, კანტორები და აგენტები საგილდო გადასახადების, სავაჭრო ბაჟის, სადამოჟნო, საგერბო და სხვა საზოგადო და ადგილობრივ გადასახადების გაღე-

ბაში ემორჩილებიან ყველა იმ წესებსა და დადგენილებებს, რომელნიც ეხლა მოქმედებენ იმპერიაში და რომელნიც შემდეგ იქნებიან გამოცემულნი.

§ 5. საზოგადოებას აქვს ბეჭედი; რომელზედაც აღნიშნულია მისი სახელი.

ქონებრივი საშუალებანი საზოგადოებისა

§ 6. საზოგადოების ქონებრივი საშუალება შესდგება საწარმოვო და სათადარიგო თანხებისაგან.

§ 7. საწარმოვო თანხა შესდგება: ა) შესასვლელ გადასახადისაგან (§ 13); ბ) საწევრო პაებისაგან (§ 13) და გ) სესხებისაგან; სესხს იღებს გამგეობა იმდენს, რამდენსაც საზოგადო კრება გადასწყვეტს.

შენიშვნა: მთელი ვალი საზოგადოებისა არ უნდა აღემატებოდეს შესასვლელ გადასახადებისგან შემდგარს თანხის საერთო ჯამს.

§ 8. საწარმოვო თანხა დანიშნულია სავაჭრო ოპერაციებისათვის და საზოგადოების მიმდინარე ხარჯებისათვის.

§ 9. სათადარიგო თანხა შესდგება: ა) იმ ფულისაგან, რომელიც უნდა გადაიდოს საზოგადოების ოპერაციების ყოველ წლიურ მოგებიდან (§ 55; ბ) იმ ფულისაგან, რომელიც დარჩება მოგების განაწილების დროს (§ 55-ს შენიშვნა მე-4); დ) სათადარიგო თანხის პროცენტებისაგან (§ 11) და ე) შემოთხვევით შემოსავლისაგან.

§ 10. სათადარიგო თანხა დანიშნულია მხოლოდ იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც შეიძლება საზოგადოებას მოუვიდეს ოპერაციების დროს მოულოდნელ გარემოებათაგან.

§ 11. სათადარიგო თანხა, საზოგადო კრების დადგენილებით, უნდა იქცეს სახელმწიფო ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებად და ინახებოდეს შემნახველ კასებში, სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებსა და განყოფილებებში ან შესაფერის ნება-რთვით, ხაზინაში. სათადარიგო თანხის დახარჯვა, დანიშნულების თანახმად (§ 10), უნდა მოხდეს უსათუოდ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებით.

საზოგადოების შედგენილება, წევრთა უფლებანი და მოვალეობანი

§ 12. საზოგადოების წევრებად მიიღებიან*) . . . . . აგრეთვე ყოველგვარი საზოგადოებანი, ამხანაგობანი, თანამშრომელთა კავშირები (არტელები), სკოლები, საავადმყოფოები და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც თანახმანი იქნებიან დაემორჩილნენ ამ წესდებას.

შენიშვნა 1. წევრთა რიცხვი არავითარის ნორმით არ არის განსაზღვრული.

შენიშვნა 2. საზოგადოებაში არ მიიღებიან: ა) სასწავლებელთა მოსწავლენი; ბ) სამხედრო სამსახურში მყოფნი ჯარისკაცნი და გ) ის პირნი, რომელთა უფლებებიც შეზღუდულია სასამართლოს განაჩენით

§ 13. საზოგადოებაში წევრად შესულს შეაქვს: ა) შესასვლელი გადასახადი (ამდენი და ამდენი); ბ) პაი (ამდენი და ამდენი).

შენიშვნა. პაი შეიძლება შეტანილ იქმნას ერთბაშად და ან ნაწილნაწილად საზო-

*) აქ უნდა ჩაიწეროს, მაგ. „ორივე სქესისანი, მცხოვრებნი ამა და ამ ქალაქში, სოფელში და სხვ.“.

გადო კრების გადაწყვეტილებით დანიშნულ ვადაზედ.

§ 14. საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, ერთს წევრს რამდენი პაის შეძენა შეუძლიან.

§ 15. ყოველ წევრს საზოგადოებაში შესვლისას გამგეობამ, საზოგადო კრების მიერ დადგენილ ფასით, უნდა მიეცეს ერთი ცალი ამ წესდებისა და ანგარიშის წიგნაკი. წიგნაკში აღინიშნება: რამდენი ფული შეუტანია წევრს საზოგადოებაში, რა ფასის საქონელი დაეთმო, რა დივიდენდი მიეცა პაიზე და რა პრემია მიეცა წაღებულ საქონელში. აგრედვე ყველა ის ფული, რაც წევრს საზოგადოების კასიდან წაუღია.

§ 16. ყოველი წევრი საზოგადო კრებებზე სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, იმისდამიუხედავად, თუ რამდენი პაი აქვს მას; თავისი უფლება წევრს არ შეუძლიან სხვას გადასცეს.

შენიშვნა 1. არა სრულ წლოვან წევრებს ხმის უფლება არა აქვთ კრებებზე არც შეიძლება ისინი არჩეულ იქმნენ საზოგადოებაში რაიმე თანამდებობაზე.

შენიშვნა 2. ის წევრნი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოების ამა თუ იმ საქმეში (საქონლის მიწოდება, სახლის დაქირავება და სხვა და სხვა სავაჭრო ხელშეკრულება) მონაწილეობას არ იღებენ ამ საქმეების გადაწყვეტაში.

§ 17. პაები შეიძლება გადაეცეს (ისე კი, რომ გამგეობას ეცნობოს) როგორც საზოგადოების წევრებს, ისე გარეშე პირებს, რომელთაც წევრობის წევრობის უფლება აქვთ. თუ პაი გარეშე პირთ გადაეცა, ეს უკანასკნელი მოვალეა შესასვლელი გადასახადი შეიტანოს.

შენიშვნა. შესასვლელი გადასახადი წევრს აღარ უბრუნდება არც მაშინ, როცა ნებაყოფლობით გადის და არც საზოგადოებიდან გამორიცხვის დროს.

§ 18. საზოგადოების ზარალის დროს ყოველი წევრი პასუხისმგებელია თავის პაით. ამას გარდა იგი არც პირადად არის პასუხისმგებელი და არც რამე დამატებითი ფული შეიძლება გადახდეს.

§ 19. წევრი, რომელიც საზოგადოების კასაში წესიერად არ შეიტანს გადასახადებს (§§ 3 ⁄ 13), შეიძლება გამგეობის წარდგენილობით, საზოგადო კრების მიერ გამორიცხულ იქმნას წევრობიდან.

§ 20. ფულის წესიერად შეუტანლობის გარდა, გამორიცხვის მიზეზად შეიძლება გახდეს წესდების დარღვევა ხშირად და ზარალი, რომელსაც საზოგადოებას მიაყენებს.

§ 21. წევრის გამორიცხვა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამას გადასწყვეტს საზოგადო კრების დამსწრე ორი მესამედი (§ 31). ამ შემთხვევაში კრება ვალდებულია გამოსარიცხს წევრს მოუსმინოს თავის გასამართლებლად მოყვანილი განმარტებანი.

§ 22. როგორც გამორიცხულ, ისე ნებაყოფლობით გამოსულ წევრებს, აგრედვე რამდენიმე პაის პატრონს, თავიანთი პაიები კუთვნილის დივიდენდებით და პრემიებით (წაღებულ საქონელზე) უბრუნდებათ განცხადების შეტანის შემდეგ მაშინ, როცა საზოგადო კრება დაამტკიცებს მიმდინარე საოპერაციო წლის ანგარიშს და იმის შემდეგ, როცა გასტუმრებული იქმნება საზოგადოების ზარალი (თუ იგი აღმოჩნდა). ვადა ფულის გატანისა უნდა

გადასწყვიტოს საზოგადო კრებამ, მაგრამ ეს ვადა არ უნდა გადასცილდეს სამს თვეს ანგარიშის დამტკიცების დღიდან.

§ 23. როგორც ნებაყოფლობით გასული, ისე გადასახადების წესიერად შეუტანლობისათვის გამორიცხული წევრები შეიძლება უკანვე საზოგადოებაში იქმნენ მიღებულნი, თუ შეიტანენ, თანახმად მე-13 §-ისა, სავალდებულო პაის და შესასვლელ გადასახადს. სხვა მიზეზით გამორიცხულნი ხელახლა წევრებად არავითარ შემთხვევაში არ მიიღებიან.

შენიშვნა. გადასახადების წესიერად შეუტანლობისათვის დათხოვნილნი ხელახლა მიღების დროს მოვალენი არიან, ზემოდ მოხსენებულის გარდა, წინდაწინვე გადაუხადონ ვალები საზოგადოებას.

§ 24. თუ ვინიცობაა რომელიმე წევრი გარდაიცვალა, მისი პაები დივიდენდითა და პრემიით ეძლევა მის მემკვიდრეებს იმავე წესით, რა წესითაც ნებაყოფლობით გასულ წევრებს (§ 22).

საზოგადოების საქმეთა მართვა-გამგეობა

§ 25. საზოგადოების საქმეებს განაგებს: ა) წევრთა საზოგადო კრება და ბ) გამგეობა.

საზოგადო კრება

§ 26. საზოგადო კრებას უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნო, გამგეობას თან ერთად, ამოირჩიოს (მაგ. მეთვალყურე კომიტეტი), რომლის მოქმედება განისაზღვრება საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციით.

§ 27. საზოგადო კრება შეიძლება ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივ კრებას გამგეობა იწვევს ყოველ წელს, არა უგვიანეს აპრილის თვისა: ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ანგარიში და ბალანსი წარსული წლისა, ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა მოქმედებისა მდგომარე წელს, აგრედვე აირჩიოს გამგეობის წევრნი (§ 36) და სარევიზიო კომისია (§ 53). ამავე კრებამ უნდა განიხილოს აგრედვე სხვა საქმეებიც, რომლებიც აღემატებიან გამგეობის უფლებას ან ის საქმეები, რომლებსაც გამგეობა წარუდგენს საზოგადო კრებას.

შენიშვნა. საზოგადოების არც ეროს წევრს უფლება არა აქვს, თუ პატივსადებ მიზეზს არ წარადგენს, უარი სთქვას იმ მოვალეობის ასრულებაზე, რომელსაც მას საზოგადო კრება დააკისრებს.

§ 28. საგანგებო საზოგადო კრებას იწვევს გამგეობა თავის შეხედულობით ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ან კიდევ საზოგადოების ($^1/_{10}$) წევრთა მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნილება სარევიზიო კომისიისა ან საზოგადოების წევრებისა გამგეობამ სისრულეში უნდა მოიყვანოს არა უგვიანეს ორი კვირისა განცხადების შეტანის დღიდან.

ა. კახელაძე

(შემდეგი იქნება)

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**